სარბიელი

სპორტული გაზეთი — გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან — ორშაბათი, 17 ივნისი — 1996 № 51 (276) — ფასი 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალი კარის დღე სენსაციით და უსენსაციოდ

გერმანია 3:0 რუსეთი

1 კეპკე	1 ხარინი
2 როიტერი	2 თეთრაძე
6 ზამერი	3 ნიკიფოროვი
14 ბაბელი	5 კოვტუნი
5 ჰელმერი	7 ონოპკო
17 ციგე	19 რადიმოვი
21 აილტხი	21 ხოხლოვი
7 მიოლერი	4 ციმბალარი
10 ჰესლერი	8 კანჩელსკისი
18 კლინსმანი	10 მოსტოვოი
20 ბირჰოფი	9 კოლივანოვი

შეცვლა: რადიმოვი — 6 კარპინი (46), ხოხლოვი — 16 სიმუტენკოვი (66), ჰესლერი — 4 ფროინდი (67), ბირჰოფი — 11 კუნცი (85), მიოლერი — 19 შტრუნეი (87)

გაფრთხილება: ონოპკო, კანჩელსკისი, ბაბელი, ბირჰოფი

გაძევება: კოვტუნი

1:0 ზამერი (56), 2:0, 3:0 კლინსმანი (76, 90)

მსაჯი: კ. მ. ნილსენი (დანია)

16 ივნისი. „ოლდ ტრეფორდი"

ეს მატჩი, გარდა წმინდა სპორტული მნიშვნელობისა მანჩესტერში მომხდარი აფეთქების გამოც მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. სტადიონზე მოსულ გულშემატკივრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აკრედიტებული ჟურნალისტებიც გულ და გულ შეგვაძოწმეს და ამის მერე შეგვიშვეს ტრიბუნების ქვეშ მოწყობილ პრესცენტრში.

მსაჯის სასტვენი და გერმანელთა გაფფრებული შეტევა რუსეთის კარზე ერთი იყო. პირველ 5 წუთში ხარინმა ორჯერ მიიგერია, ორჯერაც თავად გერმანელებმა ააცილეს. რუსებიც მედგრად დაუხვდნენ მეტოქეს და მალე თვითონაც შეუტიეს, ლამის კარები ამტვრიეს თავზე. ხოხლოვის პასით მეკარესთან გასულმა ციმბალარმა უკიდურესი კუთხე დაიჭირა და აკი ძალიან მოახვედრა მთელი ძალით დარტყმული. გადმოვარდნილ ბურთზე კოლივანოვმა, რომელიც ზამერს გაუსწლტა, თავით დაამატა, მაგრამ არც ისე ძლიერად და ხელებში მისცა კეპკეს. ამას გერმანელთა კონტრიერიში მოჰყვა და ბაბელმა თავით თავის გამოჩენა ვერ შესძლო. ცოტა ხანში კი კვლავ გერმანელებმა დაკარგეს შანსი. ჰესლერის მიერ ჩაწოდებულს თავი კი წაჰკრა ბირჰოფმა, მაგრამ ბურთს სასურველი მიმართულება ვერ მისცა, ამასობაში რუსებსაც დაუდგათ ჯერი. იაქტიური მოსტოვოიმ. ერთი-ორჯერ კარგად კი აცეკვა



ომარ თეთრაძისა და კრისტიან ციგეს ორთაბრძოლა

ულობით დაშვებული შეცდომების გამოყენებას, ამიტომ თავად გერმანელებმა გამოჭირეს ისინი. 56-ე წუთზე მიოლერმა კარგი პასით თავდასხმის დასახმარებლად წინ წამოსული ზამერი გაიყვანა ხარინთან. წაქცეულმა მეკარემ დარტყმა ფეხითლა მიიგერია, მაგრამ კოვტუნმა ბურთი ვერ გამოიტანა და მთიასმა მშვიდად შეაგორა იგი კარში.

რუსებმა რევანშის აღება სცადეს. 69-ე წუთზე ნიკიფოროვიც კი წამოვიდა წინახაზელთა დასახმარებლად. ცენტრიდან შესული საჯარიმოს რომ მიუახლოვდა, მარ-

ზურაბ ფოცხვერია, დავით კაკაბაძე

მანჩესტერიდან

გერმანელი მცველები, მაგრამ მის ამ ინდივიდუალურ გარღვევებს შედეგი არ გამოუღია. 27-ე წუთზე სერიოზულად პირველად დაემუქრა რუსეთის კარს კლინსმანი. მას ონოპკომ შეუშალა ხელი და როცა გერმანელთა კაპიტანმა დარტყა, უკვე გვიანღა იყო...

ამის შემდეგ თამაში უფრო მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა და რადგან გუნდები საჯარიმოთა მისადგომებთან კარგავდნენ ბურთს, სახიფათო მოშენტიც აღარ შექმნილა. მხოლოდღა რუსებმა გამოიღეს ხელი. მათ შეტევას კვლავ დებიუტანტმა ხოხლოვმა დაუდო საფუძველი 39-ე წუთზე, როცა მან მოსტოვოი გაიყვანა მეკარესთან პირისპირ. „სტრასბურის" ნახევარმცველმა უკეთეს პოზიციაში მყოფ კოლივანოვს არ მიაწოდა, მეკარის მოტყუება სცადა, მაგრამ კეპკე დროულად ჩაუწვა და რუსმაც მას გაარტყა ბურთი, რომელიც რიკოშეტით კოლივანოვს მიუვიდა. ბოლო დარტყმა ნაჩქარევი და უზუსტო იყო. შესვენებაზე რუსთა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა შეცვლას მიმართა: რადიმოვის ნაცვლად, რომელმაც ამ შეხვედრაში ვერ გაამართლა ძირითადში მიჩენილი ადგილი, კარპინი გამოიყვანა. თუმცა ნახევარდაცვის ცენტრში ვერც კარპინმა გამოავლინა თავისი საუკეთესო თვისებები. მის ადგილზე — ფლანგზე კი ბაბელსა და ციგეს ერთ დროს „ოლდ ტრეფორდის" ფანთა ფალავანი ანდრეი კანჩელსკისი ერკინებოდა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე რუსებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის საკმაოდ რეალური შანსი: მოსტოვოიმ მცირე მანძილით ააცილა ჯვარედინს მოჭრილი ჯარიმა. რაკი რუსები არ აპირებდნენ მეტოქის დაბნევა, ბირჰოფ — კლინსმანის დუეტმა ივარგა, მატჩის ბოლოს კი კუნც — კლინსმანისამ. 76-ე წუთზე იტალიაში მოთამაშე ოლივერ ბირჰოფმა შესანიშნავი პასი მიაწოდა იურგენ კლინსმანს. გერმანელთა კაპიტანმა ბურთი კიდევ უფრო შესანიშნავად დაამუშავა, მოძრაობაში მოიტოვა მისკენ პირით მდგარი ნიკიფოროვი და ხარინს მარჯვენა ფეხით მარცხენა ზედა კუთხეში მოუჭრა. ანგარიში 2:0 გახდა და მეტს ალბათ არც მოელოდა ვინმე, მაგრამ გერმანია, აბა, რის გერმანიაა, რუსეთს ასეთ დროს რამე აპატიოს და ცხვირდან ძმარი არ ადინოს. ჰოდა, ბირჰოფის ნაცვლად შემოსულმა ჯუპმა კვლავ კლინსმანს მიანდო რუსთა ჯალათის როლის შესრულება. იურგენს ეს მეორე შემთხვევაში აშკარად უკეთ გამოუვიდა, რადგან ნიკიფოროვსა და ონოპკოს შორის გამომტყვარალი ბურთით ანგარიში გამანადგურებელი გახადა.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე კლინსმანმა განაცხადა: „მე ბოლოს ორი კვირის წინ ვითამაშე და საკმაოდ გამეჯირდა ავყოლოდი გუნდის თამაშის რითმს. პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო. შესვენების შემდეგ კი უპირატესობას მივაღწიეთ და როცა ზამერმა ანგარიში გახსნა, მატჩის სადავეები ხელთ ვიგდეთ და ბოგება აღარ გაგვჭირვებია. ბედნიერი ვარ, რომ ორი გოლის გატანა მოვახერხე"!

რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა რომანცევმა ილაპარაკა გუნდის დაბალ საბრძოლო თვისებებზე: „როცა გუნდი ასე უნებისყოფოდ და უკბილოდ გამოიყურება, ამაში მწვრთნელია დამნაშავე და პასუხისმგებლობას არ ვიხსნი".

კანჩელსკისს ჰკითხეს, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის რაიმე კონფლიქტი ხომ არ არისო. მან უპასუხა: „არანაირი კონფლიქტი არ არის. ეხლა ემაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს". ამ პასუხმა ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ რუსეთის გუნდში იდეალური ატმოსფეროც არ უნდა სუფევდეს.

„სარბიელის" რჩეული

იურგენ კლინსმანი. უკომენტაროდ!

ხორვატია 3:0 დანია

1 ლადიჩი	1 შმაიხელი
3 იარნი	2 ჰელვეგი
4 სტიმაცი	3 რიპერი
5 იერკანი	5 ჰოგი
6 ბილიჩი	6 შენბერგი
7 ახანოვიჩი	7 სტენ-ნილსენი
8 პროსინეჩკი	8 თომსენი
10 ბობანი	10 მ. ლაუდრუპი
13 სტანიჩი	13 ლარსენი
9 შუკერი	18 ვილფორტი
19 ვლაოვიჩი	11 ბ. ლაუდრუპი

შეცვლა: ჰელვეგი — 20 ლაურსენი (46), ვილფორტი — ბეკი (59), ლარსენი — 19 ტოფტინგი (69), ვლაოვიჩი — იურჩევიჩი (82), ბობანი — 14 სოლდო (82), პროსინეჩკი — 16 მლადენოვიჩი (89)

1:0 შუკერი (54 პ), 2:0 ბობანი (81), 3.0 შუკერი (90)

გაფრთხილება: სტანიჩი, პროსინეჩკი, ვლაოვიჩი

მსაჯი: ბატა (სპანეთი)

16 ივნისი. „ჰილსბრო"

თამაშზე ხორვატ და დანიელ ფანებთან ერთად ვიმგზავრეთ. დანიელები რიცხობრივად ხორვატებს კი არა, ვგონებთ, შეეცილდის მოსახლეობას აღემატებოდნენ, ამიტომ მათი უპირატესობა აშკარა იყო, რაც მათ ერთობ უხამსად გამოიყენეს — მთელი გზა გაჰკიოდნენ, ბობანი, პროსინეჩკი და შუკერი პედერასტები არიანო. ხორვატები ერთი სიტყვით პასუხობდნენ: ბუტრაგენიო, ბუტრაგენიო! (გახსოვთ 1986?) როგორც აღმოჩნდა, ხორვატებს თავისი ბუტრაგენიოც ჰყოლიათ — მატჩის საუკეთესო დავორ შუკერი.

— ჩვენ დღეს ვხედავით გუნდს, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემთ, რადგან არ გვავიწყდება, რომ 1992 წელს ევროპის ჩემპიონობისთვის მიღებული ფულის ნაწილი ხორვატ ბავშვებს გადასცეს. — ამბობდა გუშინ დილით ექს-იუგოსლავიელთა ნაკრების თავკაცი მიროსლავ ბლაჟევიჩი.

— კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ თუ დღეს არ გავიმარჯვეთ, შინ დასაბრუნებლად მოგვიწევს გაშადება — განაცხადა იმავე დროს საპირისპირო ბანაკში ბრიან ლაუდრუპმა.

კიდევ აი, რა: ხორვატები პრეს-კონფერენციაზე არ უშვებენ იმ თანამემამულე ჟურნალისტებს, რომლებსაც ისინი გაუკრიტიკებით. ამას უკომენტაროდ ვერ დავტოვებთ და ვიტყვით, რომ ამგვარი სიბნელე ალბათ ისეთ ქვეყნებშიც კი არ ხდება, სადაც სოფლის დიქტატურაა გაბატონებული.

ახლა საკუთრივ თამაშზე, რომელიც იმ შეხვედრათა კატეგორიას განეკუთვნება, მეორე ტაიმი პირველს რომ ჯობს.

თავიდან ბურთის მოსაწყენი გორება გაჩაღდა. იმგვარი, მატჩი იყო, მხარეები სამ გადაბმულ პასს რომ ვერ აწვდიან ერთმანეთს და უსიამოვნო სანახაობა იმართება ბურთის აქეთ-იქით ხტუნვით.

მე-12 წუთზე დანიელებმა მოედნის სიღრმიდან მიქაელ ლაუდრუპს მარჯვენა ფრთაზე მიაწოდეს, მან საჯარიმოში ჩაჭიდა, სადაც ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფმა ჰენრიკ ლარსენმა თაური სცადა, მაგრამ ვერ გაიტანა. მერე ისევ დანიამ შეუტია სახიფათოდ, ოღონდ 21-ე წუთზე: მიქაელმა ძმას გაუგდო მარჯვნივ, თავად საჯარიმოს მიაშურა და ბრიანის საპასუხო პასიც მიიღო, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. შემდეგ ხორვატებს ჰქონდათ ისე-რა მომენტი — შუკერმა ააცილა. თამაში ამ პერიოდში ერთობ ნელა მიმდინარეობდა.

31-ე წუთი, ვილფორტის დარტყმას ლადიჩი ეუფლება. ცოტა ხანში ვლაოვიჩი ოლსენს ატყვეებს, არტყამს, მაგრამ შმაიხელი ადგილზეა. „მანჩესტერ იუნაიტედის" სახელგანთქმულმა გოლკიპერმა ეს ბურთი კი აიღო, მაგრამ საკმაოდ უცნაური ნახტომით, რის შემხედვარეთაც ეჭვი გაგვიჩნდა (ალბათ, თქვენც), დღეს ამ კაცის იდეალი არ უნდა ჩანდესო. მე-40-ზე ახანოვიჩმა ვლაოვიჩს ვარგი პასი მიიღო, საჯარიმოში შევარდა, შეატყო, რომ შმაიხელი ჩაწოლას ასწრებდა და, სულ რომ არ შეხებია ისე, წაისიმულიანტა. იქნებ, მსაჯს პენალტი

ზურაბ მეძველია, დავით მჭედლიშვილი

შეფილდიდან

დავტყუოო — ყვითელი დასტყუა.

მეორე ნახევარში კი დაიწყო და დაიწყო. სტანიჩი ბობანის მშვენიერი გრძელი პასით შეიჭრა საჯარიმოში (ხორვატებს წუხელ გრძელი პასები კარგად გამოუდიოდათ) და ნაღდად შეძლო ის, რაც ასანოვიჩმა აფერისტობით სცადა — ჰენალტი. შუკერმა ანგარიში გახსნა. ეს 54-ე წუთზე იყო.

78-ე: სტიმაცის თაური ძელს ხვდება. 79-ე: დანია ჯარიმას აწვდის შორეულ ძელთან, შენბერგი თავით მეორე ძელისკენ აგდებს, საიდანაც ლაუდრუპი ძელს არტყამს. 81-ე: შუკერი მარცხნიდან საჯარიმოში ბობანს აწვდის, ჰოგი და შმაიხელი ბურთს ვერ ეუფლებიან და მილანელი ანგარიშს ზრდის. ცოტა ხანში შუკერი ცენტრიდან ამჩნევს, რომ შმაიხელი წინაა, არტყამს, მაგრამ გოლკიპერი ხახთან ასწრებს ბურთის დაუფლებას. 85-ე: შუკერი თავით აცილებს საუცხოო მდგომარეობიდან. მერე, აქაოდა, ყველანი წინო, შმაიხელი შეტევის მისახმარებლად გარბის. მან ასე „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ერთხელ უკვე შეაგდო, მაგრამ ახლა დაისაჯა. ბურთს

„სარბიელის" რჩეული

განა მატჩის გმირს კითხვა უნდა? ცხადია, ის დავორ შუკერია, ესპანეთის „სევილიას" 28 წლის მოთამაშე (ახალინლის დღეს 29-ის გახდება), რომელმაც ორი შეაგდო და ერთიც საგოლე გადაანოდა. ჩვენ მეტი რალა ვთქვათ, დავორის თამაში თავად მეტყველია...

ხორვატები ეუფლებიან, აწვდიან შუკერს, ამ დროს დანიელთა მეკარე თავქუდმოგლეჯილი გარბის უკან და თითქოს კარში ჩადგომას ასწრებს კიდეც, მაგრამ „სევილიის" ფორვარდი ბურთს თავზე უგდებს და...

მატჩის მერე:

რიქარდ მიოლერ-ნილსენი: პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო, მეორე — კი ხორვატებმა ფანტასტიურად ითამაშეს. ერთი ქულით ჩემპიონატის დამთავრებას არ ვაპირებთ და თურქეთთან ჩვეულად, მოგებისთვის ვითამაშებთ.

მიროსლავ ბლაჟევიჩი: ბედნიერი ვარ. პროგრამა-მინიმუმი 8 გუნდში მოხვედრა — შესრულდა. კითხვაზე, ფინალში თუ გახვედით, იქ ვინ გინდათო, რაც უნდა პარადოქსულად ჩათვალოთ, გერმანია, მისი სტილი ყველაზე ძალიან გვაწყობსო.

პეტერ შმაიხელი: პენალტზე ვერაფერს ვიტყვი — მახსოვს, რომ ბურთს თითები გავკარი.

ბრიან ლაუდრუპი: პირველი გოლის მერე გავიხსენით და იმთაც საქმე მოგვითავეს. 92-ში თავად ვუგებდით ასე მეტოქეებს.

მიქაელ ლაუდრუპი: სიმართლე თუ გინდათ, ხორვატები ახლა ორი თავით გვჯობნიან. ეს დღესაც გამოჩნდა.

კრის უოდლი ორი ლუდის ბოთლით ხელში გავაჩერეთ და ვკითხეთ, მართლაც ასე მაგარია ხორვატიაო? პასუხი: ამ თამაშის მიხედვით არ ვთვლი, რომ ხორვატია ფავორიტია. უბრალოდ, დანიაა ძალიან ცუდი გუნდი. ისე კი, მეორე ტაიმი ამ ჩემპიონატზე საუკეთესო მატჩი იყო — ერთადერთი, რომელმაც ერთობ ჭირი ბილეთების საფასური გაამართლა.

ნამდვილი ჩემპიონატი ახლაღა იწყება

ინგლისი 2:0 შოტლანდია

1	სიმენი	12	გორამი
2	გ. ნევილი	2	მაკკიმი
3	პირსი	3	ბოიდი
5	ადამსი	4	კოლდერვუდი
4	ინსი	5	ჰენდრი
8	გასკოინი	13	მაკკინლი
6	საუთგეიტი	8	მაკკოლი
17	მაკმანამანი	10	მაკალისტერი
9	შირერი	11	კოლინზი
10	შერინგემი	7	სპენსერი
11	ანდერტონი	14	დიური

შეცვლა: პირსი — რედნეპი (46), სპენსერი — 9 მაკოისტი (67), ინსი — 20 სტოუნი (79), მაკკინლი — 16 ბერლი (82), რედნეპი — 16 კემპბელი (85), დიური — 15 ჯესი (87)

1:0 შირერი (53), 2:0 გასკოინი (79)

მსაჯი: ჰ. პაირეტო (იტალია)

15 ივნისი. „უემბლი"

ინგლისში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე იგრძობოდა, რომ ევროპის ჩემპიონატს აქაურები ორ ცალკეულ ნაწილად ჰყოფდნენ: ინგლისი — შოტლანდია და ყველა დანარჩენი მატჩი. ბრიტანულ დერბის აქაური პრესა გაცილებით მეტ ადგილს უთმობდა, ვიდრე ნებისმიერ სხვა მატჩს და აი, „დიდი მატჩიც" შედგა.

– დილიდან ლონდონის თავზე ვერტფრენების სიმრავლე შეინიშნებოდა: „ბარბაროსთა არმია", დაახლოებით 25 ათასი კაცი, „უემბლისკენ" გაემართა. ორივე გუნდის ქომაგებს იოლად იცნობდით, ამ ბრბოში კი ერია ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც მაისურზე ეწერა, მამაჩემი ინგლისელია, დედა — შოტლანდიელი, მე კი დაბნეული ვარო...

– ქართული გაზეთი გაწუხებთ, მივმართეთ თამაშის წინ პრეს-ცენტრში მოფუსფუსე ლაიამ ბრეიდის და ეს ვკითხეთ: ზოგის აზრით, დღეს „მამაცი გულებისა" და აქაურთა ომი იქნება, ზოგს კი ყველაფერი ეს სისულელედ მიაჩნია. თქვენ როგორ ფიქრობთ? პასუხი ასეთი იყო:

მე პირველთა რიცხვს მივეკუთვნები. ეს თამაში ივივეა, საქართველოს ნაკრები რუსეთისას რომ შეხვდეს — პატარა ძალა დიდის წინააღმდეგ. წარმოიდგინეთ ასეთი მატჩი, რომელიც, როგორც ვიცი, ჯერ არ შემდგარა და ადვილად მიხვდებით, რომ დღეს „უემბლიზე" ფეხბურთი სპორტის ფარგლებს გვარიანად სცილდება.

და მართლაც. არასდროს გვენახა ჰიმნის დროს ან მანამდე მოღრიალე ინგლისელები. უნდა გენახათ, როგორ დააგუგუნა „ბარბაროსთა ჯარმა" სიმღერა ფილმ „მამაცი გულებიდან". მაგრამ დაიწყო მატჩი და... სადღაც 25-ე წუთისთვის გავიფიქრე — კიდევ კარგი, სტადიონზე ვარ, თორემ ამას ტელევიზიით მტერმა უყურამეთქი. კოლეგებს გავხედე — ზოგმა გაზეთიც კი გაშალა და კითხვა დაიწყო — არაფერი საინტერესო მოედანზე. იქაურობას მხოლოდ ბარბაროსთა და აქაურთა სიმღერები ახალისებდა. მართალი გითხრათ, კიდევ ათიოდ წუთში ლამის ძილი მომერია, მაგრამ „სარბიელის" მკითხველების ღალატი არ მინდოდა და თამაშის მსვლელობას მაინც ვინიშნავდი.

ტერი ვენეიბლზმა ზუსტად იგივე სასტარტო შემადგენლობა გაიყვანა, რაც წინა შაბათს, შვეიცარიელებთან შეხვედრაში, კრეიგ ბრაუნმა კი ჰოლანდიასთან წინა ორშაბათის მატჩთან შედარებით ორი ფეხბურთელი შეცვალა; აღარ იყვნენ გაღაჰერი და ბუთი, მათ ნაცვლად მაკკინლი და სპენსერი თამაშობდნენ. მეტოქეები თავიდან თითქოსდა მწვავე თამაშს ლამობდნენ, მაგრამ თანდათან სიფრთხილის გრძნობამ იძალა და პოზიციური ბურთაობა გაჩაღდა.

ზურაბ მეძველია, დავით მჭედლიშვილი

ლონდონიდან

ასე, მე-20 წუთისთვის, შოტლანდიელები მიეპარნენ ჩემპიონატის მასპინძელთა საჯარიმოს. კუთხურიდან ჩაწოდებულზე სიმენმა დაუშვა ამ შეხვედრაში ერთადერთი უზუსტობა და ჰენდრის და კოლდერვუდს ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ კოლდერვუდმა შერინგემს გაარტყა და მდგომარეობაც განიმუხტა. ამას ისევ სქოთების „პრეიპარეობა" მოჰყვა. მაკალისტერი ურტყამდა და აქაც დამცველთა მკერდით ვადაფარებამ დაიცვა ბრიტანეთის მეტროპოლია. 30-ე წუთი, ისევ შოტლანდიელთა შეტევა. მაკალისტერის პასით დიური მარცხნიდან საჯარიმოში შერბის, მაგრამ ადამსი ჩაცურდა და ბურთი კუთხურზე გადაუგდო. 32-ე წუთზე საპირისპირო კართან იქმნება ხიფათი. საუთგეიტის მარჯვნიდან ჩაწოდებულს შერინგემი გამოუხტა, მაგრამ მადლიანი თაური ვერ დაარტყა და ააცილა. მერე შერინგემის ჩაწოდებულიდან შირერის თაური გორამმა აიღო.

მომენტების აღწერით, ახლა რომ ვაკვირდებით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პირველი 45 წუთიც საინტერესო იყო, მაგრამ მთელი მსოფლიოა მოწმე, რომ ასე არ ყოფილა. მეორე ტაიმი კი სხვა რამ გახლდათ. ორი გოლი და ერთიც მეკარის მიერ მოგერიებული პენალტი. თამაშის ნირისა და ფსიქოლოგიური გარემოს ამაღელვებელი გარდატეხა. როგორია?!

ინგლისელებმა ტემპს უმატეს. საწყის პერიოდში მოედანს კვლავ დაეტყო იმ დღეს მარჯვენა ფრთაზე გადასროლილი მაკმანამანი. თამაში უფრო თვალსაჩინო გახდა. ჯერ ჰენდრი დაჯარიმეს გასქოინის წინააღმდეგ თამაშისთვის. დარტყმა საჯარიმოს მისადგომებთან დაინიშნა. შოტლანდიელებმა ხუთკაციანი კედელი აღმართეს, მაგრამ გაზამ ააცილა. მერე მაკმანამანმა თავისებურად ჩაადრიბლინგა, ხეირიანი მომენტი შეარჩია და დაარტყა, თუმცა კარგად ვერ ჩაახუჯუჭა, თორემ ეფექტური „ცხრიანი" გამოუვიდოდა.

და დადგა 53-ე წუთი. მაკმანამანმა მარჯვენივ გარი ნევილს მიაწოდა. ნევილმა ჩაჰკიდა, გაწოლილმა შირერმა კი თავით გორამის კარს ლუქი ახსნა. მოედანზე ვიღაც ინგლისელი ქომაგი გადახტა და გასქოინს ჩაეხუტა, მაგრამ ექვსმა წესრიგის დამცველმა დააშოშმინა.

ექვსი წუთის შემდეგ მარცხენა აუტთან ჯარიმა დაინიშნა. ინგლისელებმა ჩააწოდეს, შოტლანდიელმა მცველებმა კი მცდარი განლაგება აირჩიეს და შერინგემს დარტყმის საშუალება მისცეს, მაგრამ გორამმა დიდებული რეაქციით იხსნა გუნდი.

ამას ინგლისელთა კართან მოჰყვა არეულობა. გარი ნევილმა მაკალისტერთან ბრძოლაში სიმენს მიუგორა, ამან კი ხელში დაიჭირა. პაირეტომ დაუყოვნებლივ დანიშნა თავისუფალი დარტყმა. ამ ეპიზოდიდან, თუმც ორჯერ გაამეორებინეს, 79-ე წუთი, როდესაც გასქოინმა მოედნის სიღრმიდან მიღებული ბურთი ჰენდრის ერთი შეხებით დიდოსტატურად გადაუგდო თავზე (იმ საბრალოს თავზეა აებნა და ფეხი დაუცდა), მეორეთი კი საუცხოო გოლი შეაგდო...

კრეიგ ბრაუნი: პირველ ტაიმში მეტოქეს ვაჯობებთ და საერთოდ, ორი მატჩის ჯამში გუნდით კმაყოფილი ვარ. პენალტი რომ დაინიშნა, გავიფიქრე — ახლა გავიტანთ და მერე მოვიგებთ კიდეც-მეთქი, მაგრამ სასწაული მოხდა — ჯერ არ მახსოვს, მაკალისტერს პენალტი გაეფუჭებინოს. ვერ დაგეთანხმებით, რომ ინგლისი მოგებას იმსახურებდა — მათ მხოლოდ მეორე ტაიმის მცირე მონაკვეთში გვაჯობეს. კითხვაზე, რას იტყვის გასქოინის გოლზე, ბრაუნმა თქვა, რომ გაზამ შური იძია ყველა ინგლისელ ჟურნალისტზე, ვინც ნაკრებიდან მის გაგდებას მოითხოვდა.

ალან შირერი: ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ — ორ თამაშში ორი გოლი გავიტანე. დღევანდელი გოლის გატანა არ გამჭირვებია — ნევილმა ჩამოაწოდა, მე კი ცარიელ კარში თავი დავუხვევდე. ჟურნალისტებს გირჩევთ, გასქოინის გოლი აღნიშნოთ.

დევიდ სიმენი: პენალტი მსაჯის მხრიდან ნამეტანი მკაცრი გადაწყვეტილება იყო. მაკალისტერის პენალტები კი მინახავს, მაგრამ შტატიანი პენალტისტების შესწავლას აზრი არა აქვს — ისინი მუდმივად ცვლიან კუთხეს. მარჯვნივ გადახტომა თავიდანვე გადავწყვიტე, ისე კი, ძალიან გამიკვირდა, რომ მაკალისტერმა ბურთი მოძრაობაში დაარტყა (ბურთი ნიავმა ოდნავ გააგორა).

ტერი ვენეიბლზი: გასქოინის გოლი ფანტასტიური იყო. ამ გოლამდე იმის გაფიქრებაც კი მოვასწარი, რომ ამ ჩემპიონატზე აღარაფერი გვესაქმებოდა. გაზამ იუარა რეპორტიორებთან შეხვედრა, თუმცა ვენეიბლზმა თქვა, რომ გაზა ერთობ კმაყოფილია. მერე ვენეიბლზმა გამოაყო სიმენი: დიურის თაურს ბევრი მეკარე მხოლოდ თითებით შესწვდებოდაო, ამან კი მთელი ხელის მტევნით აიღო. აღარაფერს ვიტყვი პენალტზე. ვენეიბლზის აზრით, პენალტი უსამართლო იყო. „კარგად ვერ დავინახე, მაგრამ, მგონი, ადამსმა უფეთად ითამაშა. ისე, ამაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს, რადგან მსაჯთა მოქმედებას ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ."

ესეც შოტლანდია — პოლ გასქოინი გორამის კარში გატანილ ულამაზეს გოლს ზეიმობს

კვირის გაზეთები „დიდ მატჩზე"

„თაიმზი":

„გაზა ნამდვილი გენიოსია"

„სალისტის გარდა მაკალისტერი ყველას შეეცოდა, რადგან ეს ტკივილი მას ცხოვრების ბოლომდე გაჰყვება."

„სანდი ექსპრესი":

„უემბლის" გარშემო ვინმეს ჰაერი ღრმად რომ ჩაესუნთქა, ლუდის, ვისკისა და სიძულვილის ოხშივარი გააბრუებდა. ამ თამაშს თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო ევროპის ჩემპიონატთან. ეს ორი ტომის საუკუნეობრივი ბრძოლის გაგრძელება იყო."

გულიტი ამავე გაზეთში:

„პირველი ტაიმის მერე შოკში ვიყავი. ასეთი უსუსური გუნდი არასდროს მინახავს. ინგლისი საერთოდ არ მოძრაობდა. ვიმეორებ, საერთოდ. პირველ ტაიმში არც ბრძოლა იყო და არც თამაში. ვიცი, რას ნიშნავს დერბი — აქ ფეხბურთი ნაკლებად ფასობს, აქ ბრძოლაა, მაგრამ შაბათის მატჩის ეს ტაიმი არაფერი იყო. მხოლოდ მეორე ტაიმში ამოძრავდა ინგლისი, ისიც 15 წუთით. გასქოინმა ცუდად ითამაშა, მაგრამ ბოლოს ისეთი რამ გააკეთა, თუ ყოველ თამაშში თითო ასეთს ჩაიდენს, შეუძლია ფანარჩენი დრო უქმად იყოს."

„ინდეპენდენტი":

„ინგლისი ოცზე ორად"

ბრაიან კლაფის კომენტარი:

„ინგლისი მეორეხარისხოვანი გუნდია. რა გვაქვს საამაყო? ჩემმა 7 წლის შვილიშვილმა თამაშს ტელევიზიით უყურა, მერე კი მითხრა: ესენი ვინ ყოფილან, პასს ვერ აწვდიან ერთმანეთსო. ვენეიბლზი კარგი მწვრთნელია, მაგრამ მას არ ჰყავს ის ფეხბურთელები, ჩანაფიქრს რომ შეუსრულებენ. პირველ ტაიმში გასქოინმა ორ თუ სამჯერ მიიღო ბურთი — ის კი საუკეთესოდ ითვლება. არაუშავდა მეორე ტაიმის 15 წუთიან მონაკვეთს, მაგრამ ისეთი არაფერი გაგაჩნია, დანარჩენ ევროპას რომ შეეშინდეს, მითუმეტეს გერმანიას და ჰოლანდიას, რომელთაც აქ საუკეთესოდ ვთვლი. ახლა წინ ფეხბურთი გველის და არა ომი. ჰოლანდია შოტლანდია არ არის. ჰოლანდიელები ბურთს მეგობარივით ეპყრობიან, ჩვენები კი ბურთს ისე უბთქენებენ ჰაერში, თითქოს მტერი იყოს. მოკლედ. არა მგონია, ეს ჩემპიონატი ინგლისის იყოს."

„სარბიელის" რჩეული

დევიდ სიმენი ის მეკარეა, ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში, ჯერ კიდევ მოქმედი, ლეგენდად რომ შერაცხეს. ის და ბენჭიო, ამბობენ, თავად გოლკიპერი კი იმას ჩივის, შარშან თასების თასის ფინალში ჩემთვის იმსიშორიდან ნაიმს თავზე ბურთი რომ არ გადაეგდო, კიდევ სხვა იქნებოდა, ახლა კი ჩემი გვარის ხსენებაზე ყველას კარგის გარდა ის გოლიც აგონდებაო. იქნებ, შაბათს, შოტლანდიასთან მოგერიებულმა პენალტმა ხალხს ის ცუდი გოლი ამოუგდოს მეხსიერებიდან. თუ არა და, კიდევ ერთი პლუსი ხომ ნაღდადაა. „მასტერკარდმაც" დევიდ სიმენი დაასახელა.

UEFA EURO 96 England

A ჯგუფი

ინგლისი	2	1	1	0	3:1	4
პოლანდია	2	1	1	0	2:0	4
შვეიცარია	2	0	1	1	1:3	1
შოტლანდია	2	0	1	1	0:2	1

B ჯგუფი

საფრანგეთი	2	1	1	0	2:1	4
ბულგარეთი	2	1	1	0	2:1	4
ესპანეთი	2	0	2	0	2:2	2
რუმინეთი	2	0	0	2	0:2	0

C ჯგუფი

გერმანია	2	2	0	0	5:0	6
იტალია	2	1	0	1	3:3	3
ჩეხეთი	2	1	0	1	2:3	3
რუსეთი	2	0	0	2	1:5	0

D ჯგუფი

ხორვატია	2	2	0	0	4:0	6
პორტუგალია	2	1	1	0	2:1	4
დანია	2	0	1	1	1:4	1
თურქეთი	2	0	0	2	0:2	0

ბომბარდირები:

		გ	თ	პ
იურგენ კლინსმანი	გერმანია	2	(1)	(-)
პიერლუიჯი კაზირაგი	იტალია	2	(2)	(-)
ალან შირერი	ინგლისი	2	(2)	(-)
ხრისტო სტოიჩკოვი	ბულგარეთი	2	(2)	(1)
დავორ შუკერი	ხორვატია	2	(2)	(1)

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატი

18 ივნისი

საფრანგეთი - ბულგარეთი	1,6	3,0	3,4
რუმინეთი - ესპანეთი	5,0	3,4	1,3
შოტლანდია - შვეიცარია	2,0	3,0	2,4
ჰოლანდია - ინგლისი	3,4	2,4	1,8

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ

ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

ინგლისი	2,0	რუსეთი	15,0
იტალია	2,5	დანია	20,0
გერმანია	2,5	პორტუგალია	10,0
ჰოლანდია	5,0	შოტლანდია	30,0
ესპანეთი	6,0	ბულგარეთი	15,0
საფრანგეთი	5,0	ჩეხეთი	50,0
ხორვატია	8,0	შვეიცარია	50,0

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე საღამოს საათებში „კროკო" იმუშაკებს კინოთეატრის მცირე დარბაზში

ესპანელები მხოლოდ ათანაბრებენ

საფრანგეთი 1:1 ესპანეთი

1	ლამა	1	სუბისარეტა
2	ანგლომა	16	ოტერო
5	ბლანი	4	ალეორტა
12	ლიზარაზუ	12	სერხი
8	დეშაი	5	აბელარდო
7	დეშამი	6	იერო
6	გერენი	2	ლოპესი
19	კარემბუ	15	კამინერო
10	ზიდანი	21	ლუის ენრიკე
9	ჯორკაეფი	7	ამავისკა
11	ლოკო	11	ალფონსო

შეცვლა: ლუის ენრიკე — 17 მანხარინი (55), ოტერო — 14 კიკო (59), ანგლომა — 20 როში (66), ლოკო — 13 დუგარი (74), გერენი — 15 ტურამი (80), ალფონსო — 19 საღინასი (83)

გაფრთხილება: ლუის ენრიკე, ბლანი, ამავისკა, ოტერო, კარემბუ

ᲔᲝ საფრანგეთი (47), 1:1 კამინერო (85)

მაჯი: ვ. ფუკი (ბელარუსი)

15 იანისი. „ელანდ როუდი"

თამაში ისე დაიწყო და გაგრძელდა, რომ პირველი 25 წუთის მანძილზე თვალსაჩინო და დიდად საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა. მთელს ამ დროში ერთი საგოლე მომენტიც არ შექმნილა და ერთადერთი, რასაც ტრიბუნები გაეხმაურნენ, ლუის ენრიკე მარტინესის გაფრთხილება იყო. არადა, მოედანზე საოცარი ბრძოლა გაჩაღებულიყო, ყოველგვარი დაზვერვის გარეშე. ეგ იყო, გუნდები შეტევას არ ჩქარობდნენ, რათა სიმწრით მოპოვებული ბურთი არ დაეკარგათ. ასეთ თანაბარ ბრძოლაში მაინც სჭვივოდა ფრანგთა მცირედი უპირატესობა, რაც ტაიმის ბოლომდე „ელანდ როუდის" ვიდეოტაბლოზე არ ასახულა. 25 წუთის შემდეგ გუნდებმა უფრო მედგრად შეუტიეს ერთმანეთს. ეს საქმე პირველებმა ფრანგებმა წამოიწყეს და 26-ე წუთზე კარემბუ საჯარიმოში მყოფ ლოკოს მიაწოდა. მან გერენს დაუგორა, ამის დარტყმა კი სუბისარეტამ კუთხურზე მოიგერია. 35-ე წუთზე წინა ეპიზოდის წამოწყებმა კრიტიკან კარემბუმ სცადა თავის გამოჩენა, მაგრამ სუბისარეტა კვლავ ალვილზე დახვდა მას მაკრატელას.

ესპანელებმაც თითქოსდა, გაჩიოლეს ხელი: იერომ ჯარიმაც არცთუ ურიგოდ დაარტყა, მაგრამ ამჯერად ფრანგთა შეკარე ლამამ იმარჯვა. მეორე ტაიმი ესპანელთა უპირატესობით დაიწყო და უნდა ეხეირათ კიდეც. მაგრამ დეშამის შეცდომით ლუის ენრიკემ ვერ ისარგებლა, რადგან ლამა კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყო. ამ სახიფათო მომენტიდან ერთი წუთის შემდეგ ფრანგებმა განახორციელეს მწვავე კონტრშეტევა: კარემბუ ჩინებულად მიაწოდა ჯორკაეფს, ამან ლოპესს დაასწრო და ანგარიში ბრწყინვალე გოლით გახსნა.

ესპანელთა მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ მოვლენებს ფრანგთა სასარგებლოდ განვითარება არ დააცალა, 55-ე წუთზე ლუის ენრიკე გამოიხმო, მინდორზე მანხარინი შეუშვა, 4 წუთში ოტოროც შეცვალა კიკოთი და შუა ხაზი გაამლიერა. ამ ცვლილებებმა თავდაპირველად შედეგი ვერ გამოიღო. 65-ე წუთზე ჯორკაეფს რომ ლოკოსთვის პასი დროულად მიეცა, ფრანგები მეორესაც გაიტანდნენ, მაგრამ საშფილნოვანნი მეტის მონდომებით ანგარიშის შენარჩუნებას უფრო ცდილობდნენ, ვიდრე გახრდას. ამას ისიც ცხადჰყოფდა, რომ დაცვა გააძლიერეს. ჯერ იყო და, ანგლომა შეცვალეს როშით, თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე კი ნახევარმცველ გერენს მცველი ტურამი შეუნაცვლეს. ამ შეცვლებს შორის კიდევ ერთი სამარქაფო, წინა მატჩში გოლის გამტანი დუგარიც შემოუშვეს მინდორზე ლოკოს ნაცვლად, თუმცა დარჩენილ 15 წუთში დუგარიმ ველარ შესძლო იგივე, რაც რუმინელებთან. ან კი როგორ შეძლებდა, როცა ემე ჟაკემ ნახევარდაცვას გერენი ხომ მოაკლო, ამას ანგლომას გასვლისას კარემბეს დაცვის მარჯვენა ფლანგზე დაწევა დაურთო, შემოსული როში კი დაცვის ცენტრს მიახმარა. ეს ცვლილებები ფრანგებს მიღწეულის შენარჩუნებაში ვერ შეეშველა, ბოლო 20 წუთში ესპანელები ისე მიეძალნენ მეტოქის კარს, რომ გოლი გარდუვალი იყო. ერთობ იაქტიურეს მანხარინმა და კიკომ, რომელთაც კამინერო ჯერიოვნად უბამდა მხარს. ჯერ იყო და, კიკოს ბრწყინვალე ჩაწოდება გამოიტანა ბლანმა, შემდეგ კამინეროს პასით მანხარინის ჩაწოდებულს ცარიელი კარის წინ ვერ მისწვდა ალფონსო. 85-ე წუთზე კი ესპანელთა მონდომებამ და სწორად წარმართულმა თამაშმა ბოლო წუთებზე შედეგი გამოიღო. მერამდენედ შეცდა დაცვაში ჩასული დეშამი და ეს მასაც და გუნდსაც ძვირად დაუჯდა მანხარინმა შეცდომით ისარგებლა, ბურთი კამინეროს მიაწოდა, ამან კი, გოლით, ფაქტობრივად, ლიგიკურად დააბოლოვა მატჩი, რადგან დარჩენილ დროში ესპანელებს მეტის მიღწევა აღარც უცდიათ, ფრანგებს კი სადღა შეეძლოთ თამაშის ხელახლა მოტრიალება. არადა, შეხვედრის ასეთმა შედეგმა „B" ჯგუფში სატურნირო მდგომარეობა ისე დაძაბა, რომ, შესაძლოა, ვინმე ღირსეული უმიზეზოდაც დაიჩაგროს. ესპანეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და საფრანგეთის ოთხეულს თავიდანვე ყველა უძლიერეს ჯგუფად თვლიდა, თუმცა მოვლენათა ასეთ განვითარებას, ალბათ, ბევრი არ ელოდა. დარჩენილ ტურში ფრანგებმა და ბულგარელებმა რომ თითო ბურთი გაცვალონ, ესპანელებმა კი რუმინელებს მინიმალური ანგარიშით მოუგონ, მაშინ სამ გუნდს მოგებათა და ფრეების რაოდენობა ისევე როგორც ბურთების სხვაობა ერთნაირი ექნება. ამ შეხვედრაში ურთიერთშორის შეხვედრათა შედეგები კერაფერს გაარკვევს და საქმე ვინძლო, კენჭისყრაზე მიდგეს. ისიც საფიქრებელია, რომ რუმინეთი შინ ხელცარიელად გაბრუნებას სულაც არ ეშურება და ბულგარეთი და საფრანგეთიც ერთმანეთის მოშორებას აქადანვე ეცდებიან.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲖᲘᲙᲐᲫᲔ

ჟოსელინ ანგლომა ესპანელთა—იეროსა და ამავისკას წინააღმდეგ

„სარბიელის" რჩეული

ნინა შეხვედრაში უფერული თამაშის გამო კლემენტემ კამინერო შეცვალა, თუმცა ამ შეხვედრაში კვლავ მას მიანდო გუნდის შეტევათა ორგანიზება და კამინეროც იეროს ჩინებულად დაეხმარა. ბრძოლა იყო? კამინეროც ბოლომდე იბრძოდა. უტევდნენ? მოვლენათა ცენტრში კვლავ „ატლეტიკოს" ნახევარმცველი გახლდათ. რაც მთავარია, მან უპრინციპულესი გოლი გაიტანა მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე და თავისი გარჯის ნაყოფიც იხილა. სნორედ ამ გოლმა გადახნონა მატჩის რჩეულის გამოვლენისას კამინეროსკენ ხახწორის პინა, თორემ ყველგანმყოფ კარემბუს ამ მატჩში არც მახზე და არც სხვაზე ნაკლებად არ უთამაშია.

ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲔᲑᲘ
ᲞᲠᲘᲜᲢᲔᲠᲔᲑᲘ
ᲛᲣᲚᲢᲘᲛᲔᲓᲘᲐ
ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ
როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით იხე გადარიცხვით
გარანტია 1 წელი
ᲨᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲘ
გარანტიის შემდგომი მომსახურება:
93-91-03
37-12-96
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16 (სასტუმრო „აფხაზეთის" პირდაპირ) II სართული, ოთახები 1104, 1105

კულტურის ცენტრი „ᲕᲐᲖᲒᲔᲒᲘ"
გიწვევთ
ევროპის ჩემპიონატის მატჩების
დიდ ეკრანზე სანახავად!
მისამართი:
აბაშიძის № 26 (ყოფილი ბარნოვის № 128)
ტელ.: 294904


ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ
თეთრი, გაჭიმვადი ორგანული მინა
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)

რეიტერის თვალით

EURO 96 England

ჩეხეთი		იტალია	
კოუბა	8	პერუცი	7
ჰორნიაკი	6	ბუსი	6
კადლეცი	7	აპოლონი	5
სუხოპარეკი	7	კოსტაკურტა	5
ლატალი	6	მალდინი	8
ბეიბლი	8	ფუზერი	7
ბერგერი	7	ბაჯო	6
ნედვედი	7	ალბერტინი	7
ნემეცი	7	დონადონი	6
კუ�ა	7	რავანელი	7
პობორუსკი	8	კიეზა	9
პორტუგალია		**თურქეთი**	
ვიტორ ბაია	6	რუსთუ	7
პაულინიუ	6	ვედათი	6
კოუტუ	9	თუგაი	5
ჰელდერი	7	ალფაი	6
დიმაში	8	რეჯეფი	5
ფოლია	5	ხაფეტი	7
სოუზა	7	ოგიუნი	5
კოშტა	9	ოგიუზი	7
ფიგუ	8	ხერგენი	8
სა პინტუ	4	აბდულა	7
პინტუ	6	ჰაკან შეკური	6

გიორგი ქინქლაძის ახალი კონტრაქტის თაობაზე „დეილი ექსპრესის" ცნობამ ევროპის ჩემპიონატზე გადართული ქართველი გულშემატკივარი ლამის გადარია. მართლაცდა, ძნელი წარმოსადგენი იყო ქინქის მერე ახალ სიმწვანეზე კონტრაქტზე ხელის მოწერა მაშინ, როცა „არსენალი" 7 მაღლობ გირვანქას იხდის და სხვა კლუბები კი ჯერ ჩუმად არიან. წინა „სარბიელში" გაგიწეთ, გიომ შინ დარეკა და კონტრაქტზე ხელის მოწერა „ეარეკა", „ეს თავად ბოლომდამიდასტურა გუშინ, როცა სახლში ვესტუმრე. ქინქლაძე და მერაბ ჟორდანია შაბათ საღამოს ერთად ჩამოფრინდნენ გერმანიიდან.

ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ ᲡᲐᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲠᲚᲘ�გᲐᲨᲘ

— ერთხელ და საბოლოოდ გაგვარკვიე, რჩები მანჩესტერში თუ არა...

— ყველაფერს დაწვრილებით მოვყვები და თავად განსაკუთ...

ინგლისში ჩემი ახლანდელი ჩასვლა ლის იდეა იყო. ახლა, როცა სეზონის დაწყებამდე 2 თვეზე ცოტა მეტი დროა დარჩენილი, ლის ყოფნა-არყოფნის საკითხიც წყდება და, რომ არ მოგატყუო, არა მხოლოდ „სიტის" პრეზიდენტის პოსტზე. ლიმ დაახლოებით ასეთი რამ მითხრა: გინდა თუ არა, ჩემს შვილებს მამა რომ ჰყავდეთო?

ლი ინგლისში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს და ამ ავტორიტეტს ძალზე მარჯვედ იყენებს. ახლა, როცა „სიტი" გავარდა, არცერთი სერიოზული ფირმა ამ გუნდთან საქმეს არ დაიჭერს, რაკიდა არასოლიდურია პრემიერლიგიდან გავარდნილი გუნდის მიერ გაწეული რეკლამა. ჰოდა, ლიმაც თქვა, რომ ქინქლაძე ჩვენთან რჩებაო და ყველა, მათ შორის მედიაც, შემზადა ამისთვის. როგორც კი ეს ცნობა გამოქვეყნდა, „სიტის" 32 ათასმა ფანმა „სიზნ თიქთსი" ანუ მომავალი სეზონის საშინაო მატჩების აბონემენტი შეიძინა, ჩვენმა სპონსორმა, იაპონურმა ფირმა „BROTHERS"-მა კი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „სიტისთან". ლისთან შეხვედრა პრესკონფერენციით და ინგლისური ქეიფით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ, ფაქტიურად, ჩავშალე ეს ამბავი, რადგან მანჩესტერში დაშრჩენი არა ვარ, ასეთი ღონისძიებები კი უფრო და უფრო ამძიმებს ამ საქმეს. რა ვქნა, ძალზე მიმძიმს ამ ქალაქთან და განსაკუთრებით „სიტის" ერთგულ ქომაგებთან განშორება, მაგრამ სხვაგვარად არ შეიძლება, ინგლისის მეორე დივიზიონში მოთამაშეელი არა ვარ.

ამ შეხვედრაზე „BROTHERS"-ის იაპონელი წარმომადგენლები აქეთ-იქიდან ამოძიდგნენ და ფირმისრეკლამანი „სიტის" მაისურიც ამაყარეს, აქაოდა, ქინქი ჩვენთან რჩებაო. ალბათ ამ ფოტოს მრავალი გამოცემა დაბეჭდავდა და საერთო აზრიც ამბოლო შეიქმნა ისეთი, თითქოს, „სიტისთან" კონტრაქტი განვაახლე და მანჩესტერში ვრჩები. როცა ლის ამის თაობაზე ჩემი წინადადება ვუთხარი, მიპასუხა, შენ რომ იყო ჩემს ადგილზე, როგორ მოიქცეოდიო...

— ქართველი გულშემატკივრისთვის შენი ყოველი ნაბიჯი საყურადღებოა. რა მოხდა ამ პრესკონფერენციაზე და რა უთხარი შენ იმ პირებს, ვისაც სხვებზე მეტად შეუძლიათ შენი მომავალი ბედ-ილბლის განსაზღვრა?

— ასეთები, ძირითადად, სამნი არიან, მათ შორის უმთავრესია ჯერომ ანდერსონი, რომელიც „არსენალის" მენეჯერადაც ითვლება. მან პირდაპირ მითხრა, ჩემზე მეტად არავინაა დაინტერესებული იმით, რომ შენ „არსენალის" მაისური მოირგო, მაგრამ დღეს, ახლა, ამ წუთს მაგიდაზე ფულს არავინ დებს „არსენალის" მიერ შენში გასაღები 7 მილიონი გირვანქა ჯერჯერობით მხოლოდ წინადადებაა, სანამ ევროპის ჩემპიონატი არ დასრულდება, არცერთი კლუბი სერიოზულად არ დამელაპარაკება კონტრაქტის რაობაზე. როგორც კი ჩემპიონატი მორჩება, ყველაზე რეალური წინადადებაც მაშინ გამოჩნდებაო.

— სხვადასხვა წყაროებიდან შევიტყვეთ, „ლივერპულს" ყველაზე მეტად უნდა ქინქის ხელში ჩაგდებაო. გასაგებია, რომ ჯერ შენამდე არავინ მოვა, მაგრამ ფუბბურთელების, ანაც სხვებისგან რაიმე ხომ არ გაგიგია ამის თაობაზე?

— ლივერპულელთაგან ყველაზე უფრო რედნაპთან ვმეგობრობ. არაერთხელ გვისაუბრია ამ საკითხზე. არ ვიცი, შეიძლება, ჩემგან არაეთიკურიც იყოს, ანაც ვიღაცამ მიიჩნიოს, რომ თავს ვიქებ, მაგრამ დაახლოებით ისეთი დასკვნა გამოვიტანე, რომ ლივერპულელებს არ სჯერათ, თუ ამ გუნდამდე ვინმე მიმიშვებს. რედნაპი მეუბნება, ნუთუ ჩვენთან ითამაშებ „ბარსელონასა" და „ინტერის" წინადადების მერეო?

— ბოლოსდაბოლოს, რა შეიძლება მოხდეს?

— ვერ გეტყვი, ფაქტი კი ერთია, რომ მე მანჩესტერში არ ვაჩერდები. დავიწყებ ჩემპიონატს „სიტიში" თუ არ დავიწყებ, ეს ამბავი მაინცდამაინც ბევრს არ ცვლის, რადგან ინგლისში ტრანსფერი მთელი სეზონის მანძილზე გრძელდება. როგორც მე ვიცი, ჩემით „ნიუკასლი", „არსენალი", „ტოტენჰემი", „ასტონ ვილა", „ლივერპული", მოკლედ, ყველა ის გუნდია დაინტერესებული, ევროთასებზე რომ გადიან და მომავალი სეზონისთვის სერიოზული მიზნები აქვთ. ამიტომაც წყნარად ვარ. ჯერომ ანდერსონმაც ხომ ივივე მითხრა, ნამდვილი წინადადებები ევროპის ჩემპიონატის მერე წამოვალ. მანამდე კი ყველაფერი წელის ნაყვაა. ვინც რა უნდა დაწეროს, რა სენსაციური ცნობებიც გამოაქვეყნოს, ფაქტი ერთია, მე პრემიერლიგაში მოთამაშე კლუბში უნდა გადავიდე. ზოგმა ისიც კი მითხრა, შენი საქციელი ჩაბირელი გეშიდან გაქცევას ჰგავსო, მაგრამ, თავადაც ხედავთ, რომ ასე არ არის. ყველამ იცის, რომ ყველაფერი გავაკეთე „სიტის" გადასარჩენად...

— შენ და მერაბ ჟორდანია ამ ხნის მანძილზე ერთად იყავით. რამდენადაც ვიცი, „დინამოს" პრეზიდენტიც სერიოზულადაა დაინტერესებული შენი სამომავლო ბედითა და არჩევანით...

— მერაბ ჟორდანიაც იმასვე ფიქრობს, რასაც მე და ეს უთხრა კიდეც ანდერსონს, ლის და სხვებს. სხვაგვარად არ შეიძლება. „სიტი" რომ არ გავარდნილიყო, ალბათ აღარც ექნებოდა აზრი ჩემს სხვაგან გადასვლაზე საუბარს, მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, მე პრემიერლიგაში ვითამაშებ.

— რამდენად მართალია ცნობა, ლი იმ კლუბს ჩაუდგება სათავეში, სადაც ქინქლაძე ითამაშებსო?

— ვერ გეტყვი, მაგრამ ფაქტია, რომ ლის იმაზე მეტად ვუყვარვარ, ვიდრე პრეზიდენტს შეიძლება ფეხბურთელი უყვარდეს. ადრეც ხშირად მითქვამს შენთვის, რომ „სიტი" მთელს ინგლისში გამორჩეული, ოჯახივით კლუბია. ლი კი ამ მხრივ არათუ ინგლისელებში, ქართველებშიც კი გამორჩეული. რადაც საოცრად, ლამისაა შვილებზე მეტად ვუყვარვარ. მისი მოქმედება, ვგრძნობ, მარტო პირად კეთილდღეობას არ ემყარება, ადრე მითხრა, სხვაგანაც რომ გადახვიდე, მაინც მსურს შენს მომავალ ბედ-ილბალში ჩემი წვლილი შევიტანოო. ჩემთვის მეტად უცნაური და ამაღელვებელია უცხოელისგან მსგავსი საქციელი...

მოკლედ, ესაა: სად დავიწყებ სეზონს, ამას ამჟამად მნიშვნელობა არა აქვს, მე პრემიერლიგაში უნდა ვითამაშო.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

ნემსაძე - თუ „რეჯანა" არა, „მარსელი"

გიორგის თვალი პირველმა „რეჯანამ" დაადგა. იტალიელთა პირობა ასეთია: ერთი წლის მანძილზე დაეკვირდებით ქართველ ნახევარმცველს და ჩვენთვის სასურველ დროს წავიყვანთო. ამის თაობაზე ნემსაძეს უკვე შეთანხმებიან კიდეც. მანამდე კი რეალურად ჩანს გიორგის „აუსტრიაში" ერთი წლით გადასვლა, თუმცა კი ავსტრიელები ორწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. ავსტრიელებთან კონტრაქტი ნემსაძეს არ გაუფორმებია, რის გამოც ქართველის გადაბირების იმედი არ დაეკარგავს მარსელის „ოლიმპიკსაც", რომელიც ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ საფრანგეთის პირველ დივიზიონს დაუბრუნდა.

ამ მიწვევებით თავისთავად გამორიცხა მოსკოვის ცსკა-ს ვარიანტი, რისი დიდი იმედიც ჰქონდა ტარხანოვს.

პლაჟის ფრენბურთის შემდეგ პოპულარობას იხვეჭს ფეხბურთიც. ეს სახეობა რა თქმა უნდა, ბრაზილიაში დაიბადა. თამაშები ტარდება ქვიშის პლაჟებზე. გუნდებში მეკარიანად ხუთ-ხუთი მოთამაშეა, შეცვლა კი, რამდენიც გინდა, იმდენი. მატჩები მიმდინარეობს სამ ტაიმად; თითო 12 წუთი გრძელდება. აუცილებელია ფეხშიშველი თამაში, თუმცა მცირედ შეღავათად ნებადართულია წინდის ჩაცმაც.

წელს უცნობილეს პლაჟ კოპაკაბანაზე უკვე მსოფლიოს მეორე პირველობა გაიმართა. მასში რვა გუნდი მონაწილეობდა. თამაშობდა ბევრი ცნობილი ფეხბურთელი: ბრაზილიელები ზიკო და ჟუნიორი, იტალიელები ალტობელი და ჯენტილე, დანიელი სიმონსენი, რუსები ხიდიატულინი, და ჩანოვი. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა, ვითაც ფინალში იტალიელები დაამარცხეს.



წელს ავსტრალიელთა უსაყვარლეს სპორტს — იქაურ ბურთაობას იუბილე აქვს: ორგანიზებული შეჯიბრებების მეასე წლისთავი სრულდება. ამის გამო დიდი აჟიოტაჟია ატეხილი მთელს ქვეყანაში და არც ყიართაშირისო სპორტული ტელე-არხები აკლებენ ყურადღებას ამ უცნაურ, 18-კაცა ბურთაობას, ფეხბურთისა და რაგბის ერთგვარი ნაზავი რომაჟ.

წინა უქმეებზე ავსტრალიის უპირველეს ლიგაში გამართულ X ტურში ორი იშვიათი რამ მოხდა. ერთი, რომ ფრედ 98-98 დასრულდა ჯილონგის „კატეშისა“ და ბრისბენის „დათვების“ თამაში. მეორეც, ესენდონის „ბომბდამშენებისა“ და სენთ-ქილდას „წმინდანების“ თამაშის მესამე მეოთხედში, პირველად ხსენებული გუნდი 20 ქულას რომ იგებდა, სტადიონზე დენი გამოირთო. მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა იცადა, იცადა, მერე კი მისი შეზარხოშებული ნაწილი მოედანს შევსია, ოთხძელა კარის მოგრძო ნაწილი ამოძირკვა და სტადიონიდან დიდი პატივით გაასვენა.

ამ წრის შემდეგ ლიგას 32 ქულით (8 მოგებით) ლიდერობდნენ ჩრდილოეთი მელბურნის „კენგურუები“ და მელბურნისავე იტალიური უბნის — კარლტონის „ლურჯები“. სეზონი სექტემბრის ბოლოსღა დასრულდება პლეი-ოფითა და დიდი ფინალით.



როგორც ჭეშმარიტ რეკორდსმენს შეშვენის, რიპკენი კვლავაც ყველას ხიბლავს თავდაბლობით

პარასკევს ამერიკულ კეტბურთში მორიგი რეკორდი დაამყარა 36 კალრიპკენმა. ეს კაცი „მეიჯორ ლიგ ბეიზბოლის“ კლუბ „ბოლტიმორ ორიოლზის“ მოთამაშეა და იშვიათი სტაბილურობით გამოირჩევა.

თავად განსაჯეთ: შარშან, 6 სექტემბერს რიპკენმა ზედიზედ 2113-ე მატჩი გამართა, რითაც გაუთანაბრა ამერიკის რეკორდი, 1939 წელს რომ დამყარებინა თამაშის ლეგენდა ლუ გერიგს.

რიპკენის სარეკორდო თამაშს მაშინ თვით პრეზიდენტი ქლინთონი დასწრო. ამ პოლიტიკურმა მოღვაწემ კეტბურთელს ასეთივე პატივი დასდო წინა კვირაშიც. რიპკენმა ზედიზედ 2216-ე თამაში გამართა, რითაც მსოფლიო რეკორდი მოუხსნა იაპონიაში, პიროშიმის ლიგის ყოფილ ვარსკვლავ საჩიო კინაგაზას, ვინაც თამაშს თავი 1987 წელს გაანება. პრეზიდენტ ქლინთონსა და სხვა დიდ გვამებს მხარი ამჯერად ექს-რეკორდსმენმაც დაუმშვენა.

ინგლისში სტუმრად მყოფი ინდოეთის კრიკეტის ნაკრები თითოდღიან თამაშთა სერიაზეს 0-2 ნაგების შემდეგ პირველ ტესტშიც ხომ დამარცხდა და ახლა დარბაზირის საგრაფოსთანაც სამარცხვინოდ — 10 ბჭით ნააგო.

კოტე მგალობლიშვილი

ზელანდიურ რაგბში ახალი ზე-ვარსკვლავი გამოჩნდა. იგია 20 წლის ველინგთონელი მეკელი ქრისთიან ქალენი, ვინაც ზპ-12-ში 7 ლელო გაიტანა, მერე ჰონკონგის შვიდაკად საუკეთესო მოთამაშედაც სცნეს, ნაკრების ძირითადი შემადგენლობიდან კი ამოაგდო გლენ ოზბორნი და საწყის ორ ტესტშიც უმაგალითოდ ბევრი — 7 ლელო გაიტანა. ამან შოტლანდიის ღვაწლმოსილ მენეჯერ ჯიმ ტელფერს ათქმევინა, „ოლ ბლექსის“ ბექთა სამეულის — ქალენის, ლომუსა და ვილსონის ბადალი მსოფლიოში დღესდღეობით არავისა ჰყავსო.

ზელანდია 62-31 შოტლანდია

I ტესტი. შაბათი, 15 ივნისი
დანიდინი, ქარისბრუქ პარკი

ზელანდია: ქალენი; ვილსონი, ბანსი, მაკლეოდი, ლომუ; მერთენსი, მარშალი; ბრაუნი, ფითსპატრიქი (კაპიტანი), დაუდი; რ. ბრუქი, ი. ჯოუნზი; მ. ჯოუნზი, კრონფელდი, ზ. ბრუქი. — 9ლ: ქალენი - 4, ლომუ, ი. ჯოუნზი, მარშალი, ზ. ბრუქი, მერთენსი; 7გ და ს: მერთენსი

შოტლანდია: შეპარდი; ჯოინერი, ერიქსონი, ჯარდინი, ლოგანი; თაუზენდი, არმსტრონგი; პილთონი, მაკქენზი, რაითი; ვიარი, ქრონინი; ვეინრაითი (კაპიტანი), სმითი, პიტერსი. — 3ლ: პიტერსი, ჯოინერი, თაუზენდი; 2გ, 3ს და ა: შეპარდი

შოტლანდიას ტურნეზე უკვე დაუშავდა ორივე ძირითადი შუამარბი — სქოთ პეისთინგსი და გრეგ შილი. მოელოდნენ, რომ გუნდის სელექტორები 12 ნომრად გადაიყვანდნენ თაუზენდს, 10 ნომრად კი ჩალმერსს აღადგენდნენ, მაგრამ ამათ სხვაგვარად განსაჯეს და ვეტერანი ჩალმერსი არ ათამაშეს, 13 ნომრად კი ზორბა ახალბედა რონი ერიქსონი დააყენეს.

სქოთებს ერთი შეხედვით ტოლი არ დაუდიათ მასპინძლებისთვის; სტატიკური მდგომარეობიდან ბურთიც მეტი მოუგეს და პირველ ნახევარში მეტწილად მეტოქის ნახევარზეც იყვნენ, მაგრამ ვერაფრით გაუმკლავდნენ „ოლ ბლექსის“ უკანა ხაზს, სტუმრები მაგრად რომ გააბიაბურა.

შოტლანდიელებმა ბოლომდე იომეს, მაგრამ მაინც არნახულად ბევრი — 62 ქულა გაუშვეს. მეტოქეთა ჯამური მონაგარიც სარეკორდო აღმოჩნდა ამ ორი გუნდის ტესტ-მატჩების ისტორიაში.

მეორე ტესტი ამ შაბათს, 22 ივნისს გაიმართება ოქლენდის „იდენ პარკზე“.

22 ივნისს სამხრეთ ნახევარსფეროში კიდევ ორი ტესტია: სიდნეიში ავსტრალია ეთამაშება უელსს, ბუენოს-აირესში კი არგენტინა საფრანგეთს უმასპინძლებს.

უელსი უაღრესად დონდლოდ თამაშობს ავსტრალიაში და დასავლეთის სუსტი გუნდის გარდა შაბათამდე კვრავის მოუგო. ამ დღეს სტუმრები ქალაქ მორიში ეთამაშნენ ახალი სამხრეთი უელსის სოფლების ნაკრებს და 49:3 აჯობეს. უელსმა 7 აგო ბუენოს-აირესთან. კორდობა და ბუენოს-აირესი ქვეყნის თანა-ჩემპიონები არიან. თამაში არგენტინის დედაქალაქის უცნობილესი რაგბის კლუბის — „ატლეტიკო სან-ისიდროს“ მოედანზე გაიმართა, მაგრამ მხოლოდ 4 ათასი კაცი დაესწრო.

ბუენოს-აირესს აქამდე ბევრი ცნობილი სტუმარი გუნდი დაუმარცხებინა, მაგრამ „მამლებს“ ამჯერადღა, მეშვიდე ცდით მოუგო. მასპინძლების შემადგენლობაში ნაკრების ბევრი ახლანდელი და ყოფილი წევრი თამაშობდა. მართალია, ფრანგებმა ელლოებით 2-1 აჯობეს მეტოქეს, მაგრამ ამათმა 10 ნომერმა ხოსე ლუის სილეიმ 8 საჯარიმო შეაგდო, მათ შორის ერთი — მოედნის შუა ხაზიდან.

გაბრიელა საბატინის გარეშე უიმბლდონის ეშხი მოაკლდება

მუსტერი ბალახს გაუშინაურდა

წლის მესამე სლემური ტურნირი — უიმბლდონი დღეის სწორს, 24 ივნისს იწყება. ძალზედ სასიამოვნოა, რომ მასში ითამაშებს თიხაზე თამაშის დიდოსტატი, მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ავსტრიელი თომას მუსტერი, მაგრამ ჩოგბურთის ნაღდ დამფასებლებს დიდად დანყვეტთ გულებს იმით შეტყობა, რომ ისევე როგორც წლევანდელ როლან გაროსს, უიმბლდონსაც გამოაკლდება პირმშვენიერი არგენტინელი გაბრიელა საბატინი, რომელიც ამ ბოლო წლებში ტურნირებს კი ვეღარ იგებს, მაგრამ იმიჯი მაინც თავისას შვრება.

საბატინი უიმბლდონში ერთხელ გასულა ფინალში, სამჯერ — ნახევარფინალში, ახლა კი მუელის კუნთი აქვს დაჭიმული. მუსტერმა საკმაოდ წარმატებით ითამაშა გუშინ, ლონდონის „ქვინზ კლაბში“ დასრულებულ „სტელა არტუაზის“ ტურნირში, უიმბლდონისათვის მოთელეა რომ იყო, და ნახევარფინალს უწია.

„ქვინზ კლაბში“ სოლიდური შემადგენლობა შეკრებილიყო. ხუთშაბათს გერმანელმა ბორის ბეკერმა ამერიკელი ჯონათან სთარჯი 6:4, 6:2 რომ დაამარცხა, კარიერის მე-100 გამარჯვება იზეიმა ბალახზე. ამავე დღეს მუსტერმა 6:2, 6:4 დაამარცხა რუსი ანდრეი ოლხოვსკი, შვედმა სტეფან ედბერგმა კი 6:7, 6:2, 7:6 მოუგო ხორვატ გორან ივანიშევიჩს.

პარასკევს მეოთხედფინალები ასე დასრულდა: მუსტერი — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) 1:6, 7:5, 6:3; ბეკერი — პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) 7:5, 6:4; ედბერგი — თოდ მარტინი (აშშ) 5:7, 6:4, 6:2; ვეინ ფერერამ (სამხ. აფრიკა) დაამარცხა მიხაელ შტიხი (გერმანია), მუსტერმა კი, თამაშის იშტაზე რომ მოსულიყო, ვუდფორდსაც ბევრი აგინა და თავის თავსაც.

შაბათს, ნახევარფინალში, ედბერგმა საათსა და 43 წუთში 6:7, 6:3, 6:2 მოუგო მუსტერს, ბეკერმა კი 7:6, 6:4 დაამარცხა ფერერა. ნუხანდელ ფინალში ბეკერი და ედბერგი 35-ედ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ანგარიში 24-10 იყო გერმანელის სასარგებლოდ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ედბერგი თუმც შვედია, ლონდონში თავს მაინც შინა გრძნობს, რაკილა კარგა ხანია, ამ ქალაქში სახლობს და მწვრთნელიც ინგლისელი, გვარად პიკარდი პყავს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

სამხრეთ-ჩრდილოეთის გამყოფი უფსკრული თანდათან ღრმავდება

„ოლ ბლექსის“ ერაფი იენ ჯოუნზი ეუბილარია — ნაკრებში 50-ედ ითამაშა

საქართველოს XXIX პირველობა

ამეღამ, ვაკეში

ძალიან დიდი რაგბია: „გუმარს“, „ყოჩებთან“ ერთად რომ ლიდერობს ჩემპიონატის „ა“ ჯგუფს, ეთამაშებიან „ქორები“, წინა კვირაში სეზონის პირველი მარცხი რომ აწვნიეს „ყოჩებს“.

თამაში საღამოს 7 საათზე დაიწყება. მატჩს სიმწვავეს მატებს ისიც, რომ შარშან ამ გუნდებმა ხუთჯერ გაითამაშეს სინი, მაგრამ ამჯერად იგი არც ერთს უპყრია და არც მეორეს.

„ბ“ ჯგუფი

14. VI. ვაკე: ასკ 15 (5ს) — უნივერსიტეტი 8 (ლ, ს)

ასკ	5	4	0	1	73:28	7-4 8
ყოჩები II	4	3	0	1	73:58	9-9 6
უნივერსიტეტი	4	1	0	3	56:87	8-8 2
დელფინები	3	0	0	3	20:41	2-5 0

ლელო გაიტანა, მაგრამ მეტოქე აქამდე ძლეულ გუნდზე ძლიერი არა ყოფილა.

ავსტრალიაშივე ჩავიდა კანადა, ვისაც ტესტი ბრისბენში 29 ივნისს ელის. ჩრდილოეთამერიკელებმა ტურნეს პირველი მატჩი შაბათს გამართეს როკჰემპტონში და 6:23 ნააგეს ქვინზლენდ „ბ“-სთან.

საფრანგეთმა შუა კვირაში 22:19 კი დაამარცხა კორდობა, მაგრამ უქმეებზე ძირითადი შემადგენლობით 26:29 (9:15) ნა-

ბრანტ ფოქსმა რვა ქვეყანა დააღალატა

ბობოლებსა და რიგით ქვეყნებს შორის უფსკრული ღრმავდება. სამოას თითქმის მთელი ნაკრები ზპ-12-ში თამაშობდა. ოლონდაც ხუთი ზელანდიური გუნდის სახელით. ამათა და სხვა კუნძულელებსაც „პან-პასიფიკური სერიალის“ იმედი პქონდათ, ამრიგად — ივლისში წყნარი ოკეანის აუზის რვა ქვეყანა რომ უნდა მოეცვა და ამათი ნაკრებებისათვის საერთაშორისო ასპარეზი გაეჩინა.

სამოას, ფიჯს, ტონგასა და მისთანებს კოეზი ნაცარში ჩაუვარდათ. ისინი მოალორა „კარნეგი სპორტს ინთერნეშენალმა“, ვისი საქმეთა განმრიგეც „ოლ ბლექსის“ ყოფილი 10 ნომერი გრანტ ფოქსია. ამას თურმე თავი უმართლებია, შეჯიბრის გამართვას 2 მილიონი დოლარი სჭირდებოდა, ამდენი კი ვერ მოუგროვეთ, ვინაიდან ამ რანგის ქვეყნების თამაშთა სპონსორობა და ტელეტრანსლაციების ყიდვა არავის იზიდავსო.

მაინც არ გატყდნენ აშშ, კანადა, იაპონია და პონკონგი. ამათმა რაგბის მამებმა, რა შეტყვეს „პან-პასიფიკურის“ საგაისოდ გადადების ამბავი, სატელეფონო კონფერენცია გამართეს და მორიგდნენ, მაინც მოეწყოთ ოთხი გუნდის შეჯიბრი, რომელსაც „წყნარი ოკეანის სანაპიროს პირველობა“ ენოდება. გუნდები ორ ნრედ თამაშობენ, კავშირები კი ცალკეული მატჩებისთვის თავად ეძებენ სპონსორებს.

ამ შეჯიბრში დღემდე შემდეგი მატჩები გაიმართა:

11.V. აშშ — კანადა 19:12, იაპონია — პონკონგი 34:27; 18.V. კანადა — აშშ 24:20, პონკონგი — იაპონია 33:9; 1.VI. პონკონგი — კანადა 12:18; 9.VI. იაპონია — კანადა 18:45, პონკონგი — აშშ 22:19

NBA Finals 1996

ჩიკაგო — სიეტლი 3:2

14 ივნისი. სიეტლი. მეხუთე მატჩი

სიეტლ სუპერსონიქსი — ჩიკაგო ბულზი
89:78 (18:18, 25:24, 19:18, 27:18)

სიეტლი: პეიტონი (23), პოკინსი (21), შრემფი (13), კემფი (22), ბრიკოვსკი; პერკინსი (7), მაკმილანი (3), ვინგეიტი, შეფლერი, სნოუ

ჩიკაგო: ჯორდანი (26), კუკოჩი (11), პიპენი (14), როდმანი (6), ლონგლი (11); ვენინგტონი (3), პარპერი, კერი (7), ბრაუნი, სეილი, ბიუპლერი

ფუჭი აღმოჩნდა „ბულზის“ იმედი, ჩემპიონობა სიეტლშივე მოპოვებინა. ახლა მომავალი ჩემპიონი უეჭველად ჩიკაგოში გაირკვევა, სადაც ფინალის დარჩენილი ორი მატჩი გაიმართება. მიუხედავად ზედიზედ ორი მარცხისა, „ჩიკაგო“ მაინც გამარჯვების უმთავრეს კანდიდატად რჩება. მეექვსე მატჩი დღეს, გამთენიისას მოეწყო.

გამარჯვება ბებერი და ჭაღარა მამისთვის

მეხუთე შეხვედრაში კუკოჩმა და ჯორდანმა პირველ მეოთხედში 13 ქულა მოაგროვეს და „ხარები“ 18:12 დაწინაურეს. სამაგიეროდ, პერსი პოკინსმა ორი სამქულიანი ჩააგდო: ერთი მარცხენა ფრთიდან, ხოლო მეორე — მეოთხედის დამთავრებამდე 1,48 წუთით ადრე.

მეორე მეოთხედში თამაში კვლავ „ჟულა-ჟულა“ გაგრძელდა. შრემფის სროლის შედეგად „სიეტლი“ 39:34 დაწინაურდა, მაგრამ ჯორდანმა ორჯერ შემობრუნებით ჩააგდო, ხოლო ვენინგტონმა — საჯარიმოდან. ანგარიში კი გათანაბრდა, მაგრამ ნახევარი თამაში მაინც „სონიქსმა“ მოიგო — 43:42. ეს უპირატესად კემფის დამსახურება იყო: ამ კაცმა მეორე მეოთხედში 14 ქულა „გააკეთა“.

მესამე მეოთხედის დამთავრებამდე 8,02 წუთით ადრე მასპინძლები კემფის ორი საჯარიმოს შედეგად 51:44 გაიჭრნენ წინ, ჩიკაგოს კი ჯორდანი პყავდა. მან ხუთი ქულით დაიწყო მონაკვეთი, რომელიც 11:1 დასრულდა. წინ გაჭრა ვენინგტონმა დაგვირგვინა მეოთხედის დამთავრებამდე 4,51 წუთით ადრე. „ბულზი“ 55:52 დაწინაურდა.

ამის შემდეგ მატჩი მშვიდად გაგრძელდა. ლიდერიც რამდენჯერმე შეიცვალა, ვიდრე მეოთხე მეოთხედის მეხუთე წუთი არ დადგა.

პიპენმა გარღვევით ანგარიში ორ ქულამდე შეამცირა — 69:71. სამაგიეროდ, გააცუდა სამქულიანი, რომელსაც „ბულზის“ წინ გაყვანა შეეძლო. მერე შრემპფმა ორი საჯარიმო ჩააგდო და იქვე დაუმატა ერთი სროლაც.

„სიეტლი“ არ დაცხრა და პეიტონმაც იხეირა. ამის შემდეგ კუკოჩმა ააცილა, ხოლო პეიტონმა სამქულიანი ჩააგდო, საბოლოო დარტყმა კი პოკინსისა იყო — ამან გარღვევით ანგარიში 82:69 გახადა. სულ რაღაც ოთხწუთიანი მონაკვეთი 11:0 დამთავრდა და „ჩიკაგოც“ გაიწირა.

„ხარები“ მარცხს მაინც არ შეეპუენ და კიდევ გაიბრძოლეს. პიპენმა და კერმა სამქულიანები ჩააგდეს, ხოლო ლონგლიმ — საჯარიმო. დამთავრებამდე 1,55 წუთით ადრე „სიეტლი“ 84:78 იგებდა. საბოლოოდ ჩიკაგოელებს მაინც არაფერი ეშველათ: სიეტლელებმა ხუთი საჯარიმო ჩააგდეს და ფინალური სერიის ბოლო საჩიკაგოოდ გადადეს.

„სიეტლმა“ ამჯერადაც ყველაფერში აჯობა მეტოქეს. მან მოედნიდან სროლათა 42 პროცენტი ჩააგდო (69-დან 29). ჩიკაგოელთა მაჩვენებელი 38 პროცენტი იყო (77-დან 29). მასპინძლებმა 14 სამქულიანიდან 6 ჩააგდეს (43 პროცენტი), ხოლო სტუმრებმა 26-დან — 3 (11 პროცენტი). საჯარიმო სროლებშიც ხომ „სიეტლმა“ იმარჯვა — 25:17.

გამარჯვებულთა მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა მოგება შეიფერა: „ჩემმა ბიჭებმა მაღალი კლასი აჩვენეს. ახლა ვიცით, როგორ უნდა დავამარცხოთ ჩიკაგოელები. თუკი მომავალშიც ასე ვითამაშებთ, შეძლებთ გავიმარჯვოთ კვირასაც და ოთხშაბათსაც. მჯერა ჩემი მოთამაშეებისა. მათ იციან, რა უნდა გააკეთონ ჩიკაგოში.“

შესაძლოა, კარლის ამგვარი ბაქი-ბუქის მიზეზი მისი ბებერი და ჭაღარა მამაც იყოს. ამ 90 წლის ბერიკაცმა ჩაიცვა, დაიხარა და ზედ მატჩის წინ გამოეცხადა სახტად დარჩენილ შვილს.

მიხეილ დადიანი